დადგენილება N22

მიღების თარიღი-26.12.2025 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 დეკემბრის N17 დადგენილება (www.matsne.gov.ge 27/12/2024, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.114.016524).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.